საჯარო სამართლის იურიდიული პირი

# საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

# საქპატენტი

«20» 02 2013 წ.

ქ. მცხეთა

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 172/03

### სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 8 თებერვლის N 70803/03 განაცხადით სს „ქართული ლუდის კომპანიის" (მის: ს. საგურამო, მცხეთა, საქართველო) წარმომადგენელმა ირინე ჯანელიძემ მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „ხევისბერი" (რეგ. N 23358) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „ხევისბერი" (რეგ. N 23358) საქართველოში რეგისტრირებულია 20.02.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 20.02.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 32-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „ხევისბერი" (რეგ. N 23358) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში (მოთხოვნის რეგისტრაციის N 164, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 20.02.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, სვეტიცხოვლის ტაძრის მიმდებარე ტერიტორია; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; სს „ქართული ლუდის კომპანიის" წარმომადგენელს ირინე ჯანელიძეს (მის: ს. საგურამო, 3311 მცხეთა, საქართველო).

ასლი დედანთან სწორია
„20" 02 2013წ.
ხელმოწერა